ლიბერთი ბანკი

1

LB-01916043244

საგადახდო დავალება # 5038800714

2.05.2012

GEL

4000.00

თანხა სიტყვიერად

ოთხიათასი ლარი

გადამხდელის დასახელება: ნათელა სუჯაშვილი

გადამხდელის ანგარიში GE22LB0080004501870303

გადამხდელის ბანკი: სს "ლიბერთი ბანკი"

ბანკის კოდი LBRTGE22

საბიუჯეტო გადახდა - ინფორმაცია გადასახადის გადამხდელზე

დასახელება: ნათელა სუჯაშვილი

საიდენტიფიკაციო კოდი: 01009005701

მიმღები დასახელება: ბიუჯეტის შემოსულობების ერთიანი ანგარიში(არასაგად. შემოს.)თბილისი

მიმღების ანგარიში/სახაზინო კოდი: 300773263

მიმღების ბანკი/ხაზინა: ფინანსთა სამინისტროს სახაზინო სამსახური

ბანკის კოდი TRESGE22

საიდენტიფიკაციო კოდი:

გადახდის დანიშნულება: შემოსავალი სანქციებიდან (ჯარიმები და საურავები) არქიტექტურულ-სამშენებლო საქმიან.დადგენილება #00032

დამატებითი ინფორმაცია:

ხელმოწერა:

ბ.ა.

ბანკის აღნიშვნები

შესრულების თარიღი: 2.05.2012

ბანკში შემოსულის თარიღი: 2.05.2012

ლიბერთი ბანკი LB
თბილისი ვაკე-საბურთალო
№ 281
LBRTGE22
ოპერაციონისტი

შტამპის ადგილი

ქალაქ თბილისის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახური

თბილისი 0160, შარტავას ქ. 7 ტელ.: 378501, 378396

№ 4-1/2300-12 01 05 2012 წ.

დადგენილება №000328
სამშენებლო სამართალდარღვევის
საქმეზე

01.05.2012წ. ქ.თბილისი, შარტავას 7

მე, სამსახურის უფროსმა ზვიად კერვალიშვილმა განვიხილე 2012 წლის 01 მაისის №000328 შემოწმების აქტი სამშენებლო სამართალდარღვევის საქმის წარმოების დაწყების შესახებ, შედგენილი შ.პ.ს. "გიომირ"-ის (მის.: ქ. თბილისი, გორგასლის ქ. №75ა ნაკვეთი №019/043) მიმართ, "ტექნიკური საფრთხის კონტროლის შესახებ" საქართველოს კანონის მე-13 მუხლის მე-19 პუნქტის "ზ" ქვეპუნქტის საფუძველზე, ამავე კანონის 23-ე მუხლის "ა" პუნქტის „ა.გ." ქვეპუნქტით (სანებართვო პირობების დარღვევა ან/და შეუსრულებლობა) გათვალისწინებული დარღვევისათვის.

გამოვარკვიე:

ქ. თბილისში, გორგასლის ქ. №75ა ნაკვეთი №019/043-ში შ.პ.ს. "გიომირ"-ის მიერ განხორციელდა სპორტულ-გამაჯანსაღებელი კომპლექსის მშენებლობა ქ. თბილისის მერიის ს.ს.ი.პ. თბილისის არქიტექტურის სამსახურის მიერ №01/1024 16.05.2011წ. ბრძანებით შეთანხმებული არქიტექტურული პროექტის დარღვევით: 1-7 ფასადი: -3.00 ნიშნულზე 1-2 მონაკვეთში გაზრდილია ფრამუგის გაბარიტი, აღნიშნული ღიობი გარედან დაფარულია თაბაშირ-მუყაოთი და შეღებილია. +0.70 ნიშნულზე შეცვლილია ბაქნის კონფიგურაცია და კიბესა და პანდუსს მონაცვლებული აქვთ ადგილები, შემცირებულია ვიტრაჟის სიმაღლე. 3-5 მონაკვეთში კაპიტალური საფეხურების ნაცვლად მოწყობილია ლითონის ბაქანი და საფეხურები, გაზრდილია საჩრდილობლის გაბარიტი და შეცვლილია მისი სამაგრების კონფიგურაცია. შეცვლილია ვიტრაჟის ნახატი. +4.00 ნიშნულზე შემცირებულია ვიტრაჟების სიგანე. პარაპეტზე მოწყობილია სარეკლამო აბრა. შემცირებულია საქვაბის გადახურვის სიმაღლე. 7-1 ფასადი: 7-7 ღერძის გარეთ შეცვლილია საქვაბის კედლის კონფიგურაცია. 7-3 მონაკვეთში შეცვლილია მინა-ბლოკების კონფიგურაცია. 3-1 მონაკვეთში +0.70 ნიშნულზე ლითონის ბაქნის ქვეშ დამატებულია ლითონის დგარები, კარის ირგვლივ კედელი შესაღებია. +4.00 ნიშნულზე დამატებულია ფრამუგა და მის ირგვლივ კედელი შესაღებია. ამავე მონაკვეთში კედელი ლურჯი ფერის ნაცვლად შეღებილია ბეჟი საღებავით. ფასადზე განთავსებულია კონდენციონერი და წყალშემკრები მილები. ა-ი ფასადი: საქვაბის შენობაზე დამატებით მოწყობილია მცირე ზომის ღიობი,

ფრამუგის ღიობები შეუვსებელია და მოწყობილია გისოსები. +4.00 ნიშნულზე მინა-ბლოკების ნაცვლად მოწყობილია ვიტრაჟები. ა-გ მონაკვეთში შეცვლილია გადახურვის კონფიგურაცია, შესაბამისად შეიცვალა ვიტრაჟის კონფიგურაციაც. ფასადზე დამატებით მოწყობილია სავენტილაციო და წყალშემკრები მილები. კედლები შესაღებია. ი-ა ფასადი: -3.00 ნიშნულზე შეცვლილია ფრამუგების ნახატები. +0.70 ნიშნულზე ი-თ მონაკვეთში შეცვლილია ლითონის ბაქნის კონფიგურაცია და დამატებულია მეორე მარში. +4.00 ნიშნულზე ი-ზ მონაკვეთში შეცვლილია ვიტრაჟის ნახატი. ადმინისტრაციული შენობის თავზე ი-გ მონაკვეთში მოწყობილია კედელი, აღნიშნული კედელი შესაღებია. ნაწილობრივ შეცვლილია ფასადების მოპირკეთება. ±0.00 ნიშნულზე 4-7 და ა-გ მონაკვეთებს შორის შეცვლილია აუზის დახრის მიმართულება. 3-4 და ი-თ მონაკვეთებს შორის შეცვლილია ლითონის ბაქნის კონფიგურაცია და დამატებულია საფეხურები. შეცვლილია აუზის შენობის ფერმებისა და გადახურვის კონფიგურაცია. +4.00 ნიშთულზე გ-ბ და 1-2 მონაკვეთებს შორის დამატებულია კიბის მარში. ღია აუზი ჩაწეულია შენობისკენ, დაახლოებით 0.40მ-ით, ხოლო კორტებისკენ, დაახლოებით 0.30მ-ით. გაზრდილია ღია აუზის ირგვლივ მოწყობილი ტერასის გაბარიტები. შეცვლილია ტერიტორიის კეთილმოწყობა.

2012 წლის 01 მაისს "ტექნიკური საფრთხის კონტროლის შესახებ" საქართველოს კანონის 13-ე მუხლის 19 პუნქტის "ზ" ქვეპუნქტის საფუძველზე, სამსახურის სპეციალისტის მიერ შედგა შემოწმების აქტი №000328 "სამშენებლო სამართალდარღვევის საქმის წარმოების დაწყების შესახებ". საქმეშია, მხარის განცხადება №12/57860-16 26.04.2012წ.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ვინაიდან, შ.პ.ს. "გიომირ"-ის მიერ ჩადენილია "ტექნიკური საფრთხის კონტროლის შესახებ" საქართველოს კანონის 23-მუხლის "ა" პუნქტის "ა.გ." ქვეპუნქტით (სანებართვო პირობების დარღვევა ან/და შეუსრულებლობა) გათვალისწინებული სამშენებლო სამართალდარღვევა, კერძოდ, ქ. თბილისში, გორგასლის ქ. №75ა ნაკვეთი №019/043-ში შ.პ.ს. "გიომირ"-ის მიერ განხორციელდა სპორტულ-გამაჯანსაღებელი კომპლექსის მშენებლობა ქ. თბილისის მერიის ს.ს.ი.პ. თბილისის არქიტექტურის სამსახურის მიერ №01/1024 16.05.2011წ. ბრძანებით შეთანხმებული არქიტექტურული პროექტის დარღვევით

ვიხელმძღვანელე რა, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის IV თავით, 2009 წლის 24 მარტის საქართველოს მთავრობის №57 დადგენილებით "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ", "ტექნიკური საფრთხის კონტროლის შესახებ" საქართველოს კანონის მე-13 მუხლის 1-ლი პუნქტით, მე-13 მუხლის მე-6 პუნქტის "ა" ქვეპუნქტით, მე-13 მუხლის მე-14 პუნქტით, მე-13 მუხლის მე-17 პუნქტით, მე-13 მუხლის მე-18 პუნქტით, მე-14 მუხლის მე-3 პუნქტითა და 23-ე მუხლის "ა" პუნქტის "ა.გ." ქვეპუნქტით

დავადგინე:

1. შ.პ.ს. "გიომირ" დაჯარიმდეს 4.000 (ოთხიათასი) ლარით პროექტის დარღვევით IV კლასის შენობა-ნაგებობის მშენებლობისათვის;

2. შ.პ.ს. "გიომირ"-ს დაევალოს, "ტექნიკური საფრთხის კონტროლის შესახებ" საქართველოს კანონის მე-14 მუხლის 1-ლი პუნქტის შესაბამისად, ჯარიმა გადაიხადოს ბიუჯეტის სასარგებლოდ, დადგენილების ჩაბარებიდან 30 დღეში;

საჯარიმო თანხა ჩაირიცხოს შემდეგ ანგარიშზე - **მიმღების დასახელება:** ერთიანი ანგარიში არასაგადასახადო, **მიმღების ბანკი:** სახელმწიფო ხაზინა, **ბანკის კოდი: TRESGE22, საბიუჯეტო შემოსავლის სახაზინო კოდი: 300773263, გადახდის დანიშნულება:** დადგენილების ნომერი სამშენებლო სამართალდარღვევის საქმეზე.

3. საჯარიმო თანხის ნებაყოფლობით გადახდის შემთხვევაში, შ.პ.ს. "გიომირ"-ს დაევალოს, შესაბამისი გადახდის ქვითრის წარმოდგენა.

4. სამართალდამრღვევს განემარტოს, რომ "ტექნიკური საფრთხის კონტროლის შესახებ" საქართველოს კანონის მე-13 მუხლის მე-7 პუნქტის შესაბამისად, "დამრღვევის მიერ დაკისრებული ჯარიმის გადაუხდელობის შემთხვევაში სამშენებლო საქმიანობაზე სახელმწიფო ზედამხედველობის ორგანო იღებს დადგენილებას საურავის დაკისრების შესახებ", ხოლო "ტექნიკური საფრთხის კონტროლის შესახებ" საქართველოს კანონის მე-14 მუხლის მე-2 პუნქტით "დაკისრებულის ჯარიმის გადაუხდელობის შემთხვევაში (დადგენილების ჩაბარებიდან 30 დღეში) დადგენილებით განსაზღვრული საჯარიმო თანხის ოდენობით.

5. სამართალდამრღვევს განემარტოს, რომ "ტექნიკური საფრთხის კონტროლის შესახებ" საქართველოს კანონის მე-14 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, ჯარიმის დაკისრების სამართლებრივი საფუძვლების აღმოუფხვრელობის შემთხვევაში, ჯარიმის დაკისრებიდან ყოველი სამი თვის შემდეგ, დამრღვევი დაჯარიმდება წინა ჯარიმით გათვალისწინებული საჯარიმო თანხის სამმაგი ოდენობით, რომელიც დამრღვევს შეიძლება დაეკისროს არა უმეტეს სამჯერ.

6. დადგენილება შეიძლება გასაჩივრდეს, მისი გაცნობიდან (ჩაბარებიდან /განთავსებიდან) 15 დღის ვადაში ქ. თბილისის მერიაში (ქ. თბილისში, შარტავას ქ. №7).

სამსახურის უფროსი **ზ. კერვალიშვილი**